საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №178/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 25 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 09 ნოემბრის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- წარმოებაშია -- -- რამოდენიმე სარჩელი (-- -- მიუთითებს შესაბამისი საქმეების რეკვიზიტებს - სულ 08 საქმე). ზემოაღნიშნულ საქმეებზე, არაერთი თხოვნის, მოთხოვნის, განცხადების დაწერისა თუ სატელეფონო საუბრის მიუხედავად, მოსამართლეს არანაირი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია.

მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა იმაშიც ვლინდება, რომ ის წლების განმავლობაში არ იღებს გადაწყვეტილებას სადავო საქმეებზე სარჩელის პოლიციის გზით ან საჯაროდ გამოქვეყნების გზით მოპასუხეებისათვის ჩაბარების თაობაზე.

ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს საქმეზე №2/7320-17, რომელიც მოსამართლე -- -- წარმოებაში მიღებული აქვს 2017 წლის 17 მარტს. მოპასუხეებს სარჩელი ჩაბარდათ 2017 წლის 30 მარტს და მათ ასევე წარდგენილი აქვთ შესაგებელი, თუმცა, ამ საქმეზე -- -- არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. -- - აცხადებს, რომ იგივე მდგომარეობაა სხვა საქმეებთან მიმართებაშიც.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2016 წლის 09 ივნისს და მოითხოვა, მოპასუხისათვის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 18 ივლისს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმის გამო, რომ მოსარჩელისათვის ნაცნობ მისამართზე ვერ მოხერხდა სარჩელის მოპასუხეებისათვის ჩაბარება, ითხოვა მოპასუხეებისათვის სარჩელის გადაცემა დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს -- -- ან მომხდარიყო აღნიშნული სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2016 წლის 06 დეკემბერს მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მიიღო 2 განჩინება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის გზავნილის მხარისათვის გადაცემის დავალების თაობაზე და სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

2016 წლის 26 დეკემბრიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 12 იანვარს -- სასამართლოში შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის -- სამმართველოს წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სასამართლო გზავნილის მოპასუხეებისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, მოპასუხეების მხრიდან შესაბამისი დოკუმენტების ჩაბარებაზე უარის თქმის გამო.

2017 წლის 24 აპრილს -- -- წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს. საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება -- -- სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მოსამართლემ მიიღო 2017 წლის 20 ივნისს.

2017 წლის 11 აგვისტოს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, 2017 წლის 20 ივნისის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება (დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არ იყო გათვალისწინებული მხარის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ).

2017 წლის 15 დეკემბრის განჩინებით მოხდა 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება.

2.2. -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა 2016 წლის 09 სექტემბერს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 20 ოქტომბერს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმის გამო, რომ მოსარჩელისათვის ნაცნობ მისამართზე ერთ-ერთი მოპასუხისათვის ვერ მოხერხდა სარჩელის ჩაბარება, ითხოვა მისთვის სარჩელის გადაცემა დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს საუბნო სამსახურს ან მომხდარიყო აღნიშნული სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -- სამმართველოს დაევალა მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება.

2017 წლის 24 აპრილს -- -- წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს.

მოსარჩელის წარმომადგენელმა 2017 წლის 03 ივლისს განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება -- -- სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე მოსამართლემ მიიღო 2018 წლის 08 ოქტომბერს.

2.3. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2016 წლის 30 დეკემბერს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 06 მარტს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმის გამო, რომ მოსარჩელისათვის ნაცნობ მისამართზე ერთ-ერთი მოპასუხისათვის ვერ მოხერხდა სარჩელის ჩაბარება, ითხოვა მისთვის სარჩელის გადაცემა დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს -- სამმართველოს საუბნო სამსახურს ან მომხდარიყო აღნიშნული სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2017 წლის 22 მარტის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -- სამმართველოს დაევალა მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება.

2017 წლის 21 აპრილს -- სასამართლოში შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის -- სამმართველოს წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სასამართლო გზავნილის მოპასუხეებისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, მოპასუხის ფაქტობრივი მისამართლის დაუდგენლობის გამო.

2017 წლის 19 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა, სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დაკმაყოფილდა.

2.4. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2017 წლის 12 იანვარს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მოპასუხემ (-- --) შესაგებელი სასამართლოს წარუდგინა 2017 წლის 28 თებერვალს.

2017 წლის 15 მარტს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმის გამო, რომ მოსარჩელისათვის ნაცნობ მისამართზე ერთ-ერთი მოპასუხისათვის ვერ მოხერხდა სარჩელის ჩაბარება, ითხოვა მისთვის სარჩელის გადაცემა დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს საუბნო სამსახურს ან მომხდარიყო აღნიშნული სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -- სამმართველოს დაევალა მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება.

2.5. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2017 წლის 07 თებერვალს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 06 აპრილს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმის გამო, რომ მოსარჩელისათვის ნაცნობ მისამართზე ვერ მოხერხდა სარჩელის მოპასუხეებისათვის ჩაბარება, ითხოვა მოპასუხეებისათვის სარჩელის გადაცემა დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს საუბნო სამსახურს ან მომხდარიყო აღნიშნული სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო

შეტყობინების გზით ჩაბარება.

2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -- სამმართველოს დაევალა მოპასუხეებისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება.

2.6. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2017 წლის 15 თებერვალს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 13 აპრილს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და იმის გამო, რომ მოსარჩელისათვის ნაცნობ მისამართზე ვერ მოხერხდა სარჩელის მოპასუხეებისათვის ჩაბარება, ითხოვა მოპასუხეებისათვის სარჩელის გადაცემა დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს საუბნო სამსახურს ან მომხდარიყო აღნიშნული სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება.

2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს -- სამმართველოს დაევალა მოპასუხეებისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება.

2018 წლის 08 ოქტომბერს მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მიიღო 2 განჩინება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის გზავნილის მხარისათვის გადაცემის დავალების თაობაზე და სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

2.7. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2017 წლის 16 მარტს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მოპასუხეებმა შესაგებელი სასამართლოს წარუდგინეს 2017 წლის 30 მარტს.

2017 წლის 27 ოქტომბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლეს და ითხოვა, საქმის განხილვის დაჩქარება.

2.8. -- -- სასამართლოს -- -- სარჩელით მიმართა 2017 წლის 20 აპრილს და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებლობისათვის დავალიანების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება (-- ლარის ოდენობით). საქმე (№-- --) განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 05 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეებისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოპასუხეებმა შესაგებელი წარმოადგინეს 2017 წლის 14 ივნისს. ამ თარიღის შემდეგ საქმეზე საპროცესო მოქმედება არ შესრულებულა.

2.9. 2016 წლის მე-2 ნახევრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად სულ გადაცემული ჰქონდა 1,837 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 337 (18.3%) საქმის განხილვა. 2017 წელს განსახილველად გადაცემული ჰქონდა 11,778 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 3,428 საქმის განხილვა (29.1%). 2018 წელს (პირველი 09 თვის მონაცემები) განსახილველად გადაცემული ჰქონდა 14,380 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 2,753 საქმის განხილვა (19.1%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 25 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქციით).

მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთ უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელების კუთხით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამოქალაქო საქმის განხილვის ვადებს მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ამას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა - „ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებას, როგორებიცაა – სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების უფლებას.“

იმისათვის, რომ წინასწარი მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად შეიცავს მოსამართლის ქმედება შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, რა შემთხვევაში ჩაითვლება მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა „არასაპატიოდ“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადება, სადაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ობიექტურ გარემოებებს. ამ ნორმის თანახმად, „...ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო.“ სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსამართლის ბრალეულ ქმედებას მოჰყვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა და ამ დარღვევამ არსებითად შელახა მხარეების კონსტიტუციური

უფლებები, მიჩნეულ შეიძლება იქნას, რომ სახეზეა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. დისციპლინური გადაცდომის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, თუ რამდენად დააზიანა მოსამართლის ქმედებამ სასამართლოს ან/და საჯარო ინტერესები და რამდენად შეეზღუდა მხარეს ზემდგომი ინსტანციისათვის მიმართვის შესაძლებლობა.

როდესაც საჩივარი ეხება საქმის განხილვის ვადის დარღვევას, აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, §35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ" („საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული ობიექტური გარემოებების ჭრილში) უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადის გონივრულობაუნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, სასამართლოს აკისრია ვალდებულება შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები ეფექტურად და მიუკერძოებლად. სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ. მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის დარღვევა -- -- საქმის გარდა ყველა სხვა შემთხვევაში. კერძოდ, -- -- საქმის შემთხვევაში საქმის განხილვის ვადა მოსამართლე -- -- მიერ დარღვეული არ ყოფილა, მან საქმის განხილვა დაასრულა მისთვის საქმის გადაცემიდან 4 თვის შემდეგ. -- -- საქმის შემთხვევაში საქმის განხილვის ვადა დარღვეულია 11 თვეზე მეტი დროით; -- -- საქმის შემთხვევაში 1 წელზე და 7 თვეზე მეტი დროით; -- -- საქმის შემთხვევაში 1 წელზე და 6 თვეზე მეტი დროით; -- -- საქმის შემთხვევაში 1 წელზე და 5 თვეზე მეტი დროით; -- -- საქმის შემთხვევაში 1 წელზე და 5 თვეზე მეტი დროით; -- -- საქმის შემთხვევაში 1 წელზე და 4 თვეზე მეტი დროით და -- -- საქმის შემთხვევაში 1 წელზე და 3 თვეზე მეტი დროით. შესაბამისად, განხილულ შემთხვევებში ფორმალურად შესრულებულია ყველა წინაპირობა, რომელიც საჭიროა, რომ სახეზე იყოს მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. თუმცა, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, მოსამართლის ქმედების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ ფაქტორებს და ყველა კონკრეტული შემთხვევა განხილულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით.

მოწოდებული მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლეს 2017 წელს განსახილველად გადაცემული ჰქონდა 11,778 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 3,428 საქმის განხილვა (29.1%). 2018 წელს (პირველი 09 თვის მონაცემები) განსახილველად გადაცემული ჰქონდა 14,380 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 2,753 საქმის განხილვა (19.1%). აღნიშნული სტატისტიკა იმდენად სცილდება გონივრულობის ფარგლებს, რომ მოსამართლის მიერ საქმეების განხილვის კანონით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოყვანილი არგუმენტები, ასევე მოსამართლის დატვირთვა და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №178/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი